



გლისში, როგორც ეტყობა, ძალიან არ მოსწონებიათ; ლონდონის ყველა დიდ გაზეთებში ერთგვარად ამბობენ, რომ გვიკვირსო, რომ ამ მანიფესტში ერთი სიტყვაც არა სთქვა რუსეთის იმპერატორმა იმანე, რომ ამ ომის საშუალებით იმას არა ჰსურს რუსეთის სამზღვრების გაგრძელება და რომელიმე ქვეყნის ანუ მიწის დაპყრობა.

მაგვყავს ერთი შრანცუხულის გაზეთიდან რამდენიმე ცნობა მსმალეთის სამხედრო ზღვის ძალაზე (ფლოტზე):

მსმალეთის ზღვის ძალა სამ წაწილად არის გაყოფილი: ყველაზე უფრო დიდი ესკადრა მსმალეთის შავს ზღვაზე აქვს, ეს შესდგება 15 ცეცხლის გემისაგან, რომელიც ინგლისის აღრიხდელ ზღვის აფიცრს ახლა მსმალეთის ადმირალს მობარტ-ფაშას აქვს ჩაბარებული; მეორე, შესდგება 4 ჯაგონიან ხომალდისაგან და რამდენიმე ცეცხლის გემისაგან. ეს ესკადრა ადმირალს მუსტაფა-ფაშას აბარია; და მესამე ხმელთა-შუა ზღვაშია გაბნეული საქაიქ და შესდგება 5 ჯაგონიანის ხომალდისაგან.

მსმალეთის ფლოტში მომეტებული ნაწილი ინგლისელი, გერმანიელი და ფრანკუზის აფიცრები მსახურებენ თურმე. რადგან მსმალთა ზღვაში ვერ სძლებს ხშირად ავთხლებად.

საზოგადო ჰაზრი ყველა ზღვის საქმის მკოდნე პირებისა ის არის, რომ ინგლისის შემდეგ, მსმალეთის ფლოტი თითქმის მეროპის ყველა დანარჩენ სახელმწიფოების სამხედრო ფლოტზე უფრო ძლიერია და უკეთ არის მომზადებული.

თავის დროზედ „ღროების“ მკითხველებს ჩვენ ვაცნობთ ლონდონიდან მოსული ტელეგრამა, სადაც

ნათქვამი იყო, რომ ინგლისის მმართველობამ, ომის გამოცხადების შემდეგ, გამოსცა მანიფესტი, რომელიცშიაც ეს მართებლობა — რუსეთსა და მსმალთა შუა ომის დროს, სრული ნეიტრალიტეტის დაცვას აცხადებდა. — პირველი მისის „ღროების“ ნომერში კი მკითხველი წაიკითხა და პარიჟიდან, 25 აპრილს, მოსულის ტელეგრამამ, რომელიც გვაცნობებს, რომ ინგლისის პასუხი თ.

მარჩაკოვის ცირკულიარის თაობაზე ძალიან ინტერესულის და მკაცრი სიტყვებით არის დაწერილი, რომ გრაფი (დერბი ამბროსი) (პასუხში) ამბობს, რომ რუსეთის მოქმედება ნაწილთა შორის ყველა ეხლანდელ ტრაგედიასა და მეროპის ინტერესებსწინააღმდეგეობა; რომ — ამ ომის გამოცხადებით, რუსეთი განზორდა მეროპის უმთავრეს სახელმწიფოებში შორის დადგენილ თანხმობას და რომ ამის გამო არ შეიძლება სთქვას კაცმარ, თუ ამ ომის შედეგად რაიმე უნდა იქნება. — ამ პასუხი კიდევ არაა გრაფი: პარიჟიდანვე ამ დღეებში მოსული ტელეგრამა გვაცნობებს, რომ ინგლისის მმართველობას განუცხადებდა — სინამ რუსის ჯარი სტამბოლს არ მიუახლოვდება, მანამ ინგლისის ნეიტრალიტეტს დაცვა არა...

როგორც ხედავთ ის შემო-მარცხენილი პასუხი გრაფი დერბის ერთობ საეულისხმოდ და ჩასაფქრებელია. ჩვენის მხარეთა ძირით ცოტა მისეზი უნდა ინგლისს, რომ ამ რუსეთსა და მსმალთა შუა ომში გეროპის და გეროპის, რასაკვირველია, რუსეთის საენებელია და არა სასარგებლოდ. ჩვენის სიტყვებშია, რომ ინგლისი, სხვა დახელომწიფობისა, მაგ. აესტრო-მენგრიას და საფრანგეთსაც ჩამოითრეს ამ ომში.

ინგლისის მმართველობამ, ეგრეთვე სრული ნეიტრალიტეტის დაცვა გამოაცხადა 1870 წ., როდესაც

გერმანიასა და საფრანგეთს შუა ომი ატყდა. და მაშინ, თავისი სიტყვის დასამტკიცებლად, არც იმისთანა მზადებაში ყოფილა საომრად, როგორც დღეს არის. წარმოიდგინეთ, რომ არ გაუთლა დიდი ხანი მის შემდეგ, რაც კაროლენა ვიკტორიის ზემო მოყვანილი მანიფესტი გამოცხადდა — რუსეთსა და მსმალთა შუა ომის დროს ინგლისის მხრით სრული ნეიტრალიტეტის დაცვის თაობაზე, რომ, ერთი ინგლისური გაზეთის სიტყვებით იმავე ინგლისის მმართველობამ მკაცრი ბრძანება გამოსცა საჩქაროდ მონიტორების და მზადებისათვის, რომელიც მართებლობას ვინ იცის ეგებდნენ ჩინთვის დასჭირდეს, ვინ იცის, რუსეთსა და მსმალთა შუა ომში რამ მართებლობას მიიღებს. ამ ბრძანებასთან ერთად ვაზ. „ტიმსში“ გამოცხადებული იყო სინამ: „ჯაგონებისა, რომელიც, ყოველ შემთხვევისათვის, მზათ უნდა იქნენ მალტაში გამზავრებულად. მსმალთა შვიდს პოლკს ცხენოსან ჯარისას, მოთხს არტილ. ბრიგადას და ორმოცდაცხრა ქვეითი ჯარის ბატალიონს. მსკოვის უწყებებს“ ეს ცნობები ერთიან კრძალვითა და მიშით მომყავს და თან შიშს ქვეყნს და ცხენით ამბობს: „რასაკვირველია, ეს მხოლოდ ყოველი შემთხვევისათვის მზადება ინგლისის მმართველობისა, მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ამისთანა მზადება ამ ხსენებულ მართებლობას იმ დროს არ სჭირდა, როდესაც მან საფრანგეთსა და გერმანიას შუა ომის დროსაც სრული და მკაცრი ნეიტრალიტეტის დაცვის სურვილი განაცხადა...“

ნემენც. ვაზ. „პოლიტიკურ კორესპონდენციაში“ იწერებინა ბალაციადმი, რომ რუსეთის სამხრეთი არმიის, სარდლის განკარგულებით უმთავრეს ადგილად, საიდანაც რუსეთის ჯარებმა ქ. ლობრუჯის წინააღმდეგ უნდა იმოქმედოს, ამორ-

ჩეულია ბალაცი. ბალაციში ამ ქაშით რუსული მმართველობა არის დაწესებული, რომელიც განკარგულება მოახდინა, რომ მდ. ლენის ბოლოზე ხომალდებით მისვლა-მოსვლა მოსპობილიყო. ბარბოქის ხიდის დასაყველად რუსეთის მხრით ეხლა დიდი ყურადღება არის მიქცეული და, ამ მიზნისათვის, იქ მყოფ ზარბაზნებს ამ დღეებში კიდევ ექვსი მიტრალიოზი მიუმატესო და ჯარის უფროსობაც გენ. სოკოლოვს მიანდვესო.

იასილად იწერებინა, რომ იქაური წმ. სპირიტონის საავათმყოფო რუსეთის მმართველობას აუღია ქირით — 16 ათას ფრანკით, ერთი წლის ვალით. იქიდანვე იწერებინა, რომ რუსეთის ბრძანება სამხრეთი არმიისათვის ამბობს, რომ ლენისაკენ გამგზავრების დროს აჩქარებულის სიარულით (წარსიროვანის მარშით) ცხენოსანმა ჯარმა საათში 80 ვერსი გააკეთესო და ქვეითმაც 40 ვერსიო.

ვაზ. „პოლიტიკურ კორესპონდენციაში“, იწერებინა რუსული დამ: რადგან ლენის არმიის სარდლის აბდულ-ქერიმ ფაშას შეუტყუია, რომ რუსეთის ჯარები ლობრუჯის მიწოლას აპირებსო, განკარგულება მოუხდენია, რომ ლენის არმიიდან რამდენიმე ჯარი ლობრუჯში გადევანონ.

სამზღვარ გარეგანი გაზეთების სიტყვებით მსმალთა მართებლობას ვითომც განზრახვა აქვს, რომ შავი ზღვის ნაპირ მყოფს რუსეთის ქალაქებს დაუშინოს, ყუმბარები და დაამგროოს ისინი. ჩვენმა მკითხველებმა იცნა კიდევ, რომ ამ განზრახვით მსმალთა პარახოდები შეკვეთილს მიადგენ, თითქმის ომის გამოცხადებისა — თანავე, რამდე-

რელი მინისტრი რუსეთში იყო და გაცხარებულ პასუხს აძლევდა რომელიც მუდამ მმართველობის შემაწუნებელ ოპოზიციის წევრს, ძლიერებმა ჩაალაგებინა ბიჭებს თავის ბარგზე, ჩაჯდა ფაეტონში და გამოსწია რკინის გზის სტანციისაკენ.

მაქქა ბერლინიდან. მაგრამ სად წავიდა, სად არა — კაცმა ვერ შეიტყო, არავისთვის სიტყვა არ უთქვამს.

როცა მესამე დღეს იმის მინისტრი მივიდა შუალამზე თავის „პატარა ფრანკუზის ქალის“ სანახვად, ძალიან გაკვირდა, რომ იმის ფანჯრებში სანთელი არ ენთო და კარებიც დაკეტილი იყო.

სად წავიდა მადმუაზელ ძლიერებ? ჰკითხა პალტოში გახვეულმა პატიოსანმა მინისტრმა ასას.

რა მოგახსენო, ბატონო; გუშინ საღამოს გიხლათ სადღაც.

მარტო იყო, თუ სხვა ვინმეც?

მარტო გახლდათ; ჯერ ბიჭები გაისტუმრა ბარგი და მერე თვითონაც ჩაბრძანდა მეორე ფაეტონში და ბიჭს უბრძანა სტრასბურის რკინის გზის სტანციისაკენ წადო.

რკინის გზის სტანციისაკენ? რას ამბობ?

მართალს მოგახსენებ, ბატონო! ცოტა ხან დაფქრდა მინისტრი.

არაფერი დაუბარებია მერე?

როგორ არა, დამაბარა. ასე მიბრძანა: ხვალ ღამის მეთორმეტე საათზე ერთი გადაკრუებული, სურელი კაცი მოვაო, პალტოში გახვეულიო (თქვენ არ იქნებით, ბა-

ტონო, ის), უთხარია, რომ მადმუაზელ ძლიერებმა მოკითხვა მოგახსენა და მის მოსვლამდინ ნურაც შენ და ნურც შენს თანამემამულეებს ნურა გტყენიათ-რაო!

ცოტა ხანს გაშტერებულივით იდგა მინისტრი ასასის კარების წინ; მერე უეცრად მიიბრუნა პირი, გამობრუნდა და აღელვებულის ნაბიჯით დაადგა გზას.

ჩინებული სანახვია პარიჟის დიდი ბულვარები საზოგადოთ ყოველი თვის და განსაკუთრებით შუა ღამეზე. მთელი ქუჩები ისეა განათებული, რომ ნების რა დაგვიარდეს, არ დაკარგავ. პეელა მალაზიები გაზით გაჩაღებულია.

თქვარებიდამ დაბრუნებული ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მოდის, ზოგი ქალით მკლავი-მკლავში გაყრილი, ზოგი უქალოთ; მოიმღერებინა, მოლაპარაკობენ, მასხარაობენ, ოხუნჯობენ, ჰყვირიან, ჰსჯიან.

თითქმის ყოველს ნაბიჯზე კაჭებს ნახავ, ამ მშვენიერ, მთელს ქვეყანაში გამოჩენილ პარიჟის კაჭებს, რომელიცაც ამ დროსაც კი იმდენი ხალხია, რომ ტევა აღარ არის. ზოგი ვახშამს შეექცევა, ზოგს ყავა მოუთხოვნიან ან ჩაი და იმას გიხლდება; ზოგს საღამოს გაზეთი უჭირავს ხელში და იმას ჰკითხულობს და ზოგნი კი რამდენიმე ერთად ქალი და კაცი დამსხდარან ახლად და ნანახ ოპერაზე, კომედიაზე ან ოპერეტაზე მუხაიფობენ; თან, უეჭველად, ხარხა-

რობენ, იცინიან, მასხარობენ, — ეს ხომ ფრანკუზის ჩინებული ხელობა!

მართს ამ გვარს კაჭეში, რომელიც „მარიეტეს“ თეატრის მახლობლად არის ძაპუსინის ბულვარზე, შეგროვილია რამდენიმე კეკლუტურად მორთული ახალგაზდა ქალი.

როგორც ეტყობათ, ამით არაფრად ემურებათ შინ წასვლა და ძილი. ბულ-დამშვიდებით მოთავსებულან ერთს მრგვალ სტოლთან, სუფრა გაუშლიათ, ვახშამი უნებებით და ახლა ყავასა სმენ.

მაგისთანა ქალი რომ ჩვენს საზოგადოებაში არ გაურიოთ, ძალიან კარგს ვიქო! — წამოიძახა ერთმა შავ, ცოცხალ-თვალა და შლიაპა-მოქცეულმა ქალმა.

მართალს ამბობ, შანეტ, მაგისთანა ქალი ფრანკუზის სახელს აფუტებს.

მერე ვისთან უცხოვრია, იცით, ქალებო? — სთქვა მესამემ.

ვისთანაც უნდა ეცხოვრა, სულ ერთია! საქმე იმაშია, რომ ბერლინში იყო და, რასაკვირველია, ნემეცებთან იცხოვრებდა!

იქნება ჩემზედ ლაპარაკობდეთ? იკითხა ძლიერებმა, რომელიც აგრეთვე ამ ქალების საზოგადოებაში ერია.

ღიან, თქვენზე ვლაპარაკობთ, უნასუხა ხმა-მალლად შავ-თვალამ, — და გვიკვირს, რომ კიდევ ხმას იღებ!

ის უფრო გვიკვირს, რომ ამის

შემდეგ კიდევ პარიჟში დაბრუნებულხარ! წამოიძახა მეორემ.

როგორ არ გრცხვენია, რომ ნემეცების დასატკობლად წახველ ბერლინში! — სთქვა მესამემ.

დაწყველილი, საძაგელი პრუსიელი!

პრუსიელს რო ვაკოცნიო, ის ტუჩები უნდა მოვიჭრა და ძაღლებს ვაღუვლო! მაცხარებით წამოიყვირა მეოთხემ.

ბევრი ამ გვარი დაცინება და ცხარე სიტყვები გაიგონა ძლიერებმა თავის ტოლებისაგან, და გაჩუმებული ყურს უგდებდა. ბოლოს, როცა ერთობ მიადგნენ და ყველანი იმის ლანძღვის მეტს არას ჰფიქრობდნენ, უეცრად წამოდგა ზეზე და აღელვებულის ხმით დაიძახა:

შეგლაფერი მართალია, რასაც ამბობთ! მართალია, რომ მე ერთი წელიწადი ბერლინში ვცხოვრობდი და ნემეცების საყვარლად ვითვლებოდი! მართალია რომ მე ჩემი ალერსი, ჩემი სხეული პრუსიელებს ვაუზიარე და იმათ პირუტყულ გრძობას ვატკობდი. მაგრამ ერთი მკიჩრეოდენი გარემოებაც ნუ დაგავიწყდებათ: მე ჩამოვიტანე ბერლინიდან ას-ოცი ათასი მანეთი... თქვენ ყველა და ყველა ჩემი დები რომ ჩემსავით მოქცეულიყავით, ხუთი მილიარდი კონსტრიბუცია, რომელიც იმათ აგვაგლიჯეს, ვინ იცის, იქნება, ახლა ისევ ჩვენში ყოფილიყო დაბრუნებული!

ნიმე ყუმბარა ესროლეს, მაგრამ რაკი დაატყვეს რომ აქედამ არაფერი გამოდგებოდა, ისევ გაბრუნდნენ და შოთისკენ გამოემგზავრნენ. მ. რიოდე ყუმბარა ჩვენს შოთსაც უთავაზეს, მაგრამ ვერც ამისთვის დაუკლიათ-რა.

შეკვეთილს და შოთს რამდენიმეჯერ დაპბრუნებთან ისევ ამავე განზრახვით, როგორც ამის ველი-დამ მოსული ტელეგრამები გვაცნობებდა. შოთის სიტყვით, მ. მალოს სამხედრო ხომალდები შავის ზღვის ნაპირას ჩვენს ქალაქებს შორი-ახლო უფლიან და ხანდისხან ყუმბარებდაც კი უშენენ. თუმცა შავი ზღვის ნაპირა ძველად ჩალაქების შესახებ კი არა, მაგრამ მდღესის შესახებ კი, ამას წინათ, ინგლისის მართებლობას წინადადება მიუტია პორტსათვის, რომ მდღესას ყუმბარებს ნუ დაუშენთა. ამას, როგორც ვ. შ. „მენის ლიური“ ამბობს, პორტს უარი განუცხადებია და შეუთვლია კიდევ, რომ ამ ცოტა ხანში ის შავის ზღვის ნაპირა რუსეთის ყველა ქალაქებს დაუშენს ყუმბარებს. და როგორც ზევით ვამბობთ პორტამ ერთი ნახევარი ამ დაპირებისათვის აარულა კიდევ, ე. ი. რომ შეკვეთილს და შოთს რამდენიმეჯერ მიადგა ხომალდებით და გარდა ამისა ამ ნომერში დაბეჭდილი ტელეგრამიდან შეიტყობთ კიდევ რომ მ. მალოს ხომალდები სოხუმისკენ გამგზავრა.

რომის ატრიადის შტაბის უფროსად, სამხედრო მთავრობის განკარგულებით, პოლკოვნიკის მ. შახბეგის მოგივრად დაინიშნა პოლკოვნიკი კრავიჩი და შახბეგი დაინიშნა შობულეთისა ტრიადის შტაბის უფროსად.

შოთს უცხო ქვეყნის გაზეთში შემდეგი ცნობებია მოყვანილი ქალაქს შარსზე, რომლის აღებასაც ჩვენი ჯარი ემზადება ახლა:

შარსში ამ ჯამად 20,000 მცხოვრებელი ითვლება, ოსმალოები და სომხები. ვინც ამ ციხეს დაიჭრს, თითქმის მთელი მცირე აზიაც იმის ხელში იქნება. შარსი ადრეც ძალიან მაგარი ციხე იყო, მაგრამ ამ 1877 წლის მარტში კადვ უფრო გაამაგრეს ოსმალოებმა ააშენეს ახალი რედუტები, რომელნიც დაცულნი არიან 48 ქრუპის ზარბაზნით, 57 ძველის სისტემის ზარბაზნითა და 11 მინვრის ბატარეით. თვითონ ქალაქი ციხის შუა გულშია.

ზემოხსენებულს რედუტებს გარდა ქალაქის ციხეს იცავს 279 ციხის ზარბაზანი და 66 მინვრისა.

შარსში ამჟამად სულ 33,000 ჯარია დაყენებული და ამას გარდა ჩერქეზების ცხენოსანი ჯარიც არის.

სამართველი

დღიური

დღე მთავარს ძველად ნამეტონის შემდეგი ტელეგრამა მოუვიდა 30 აპრილს უფ. შრევის ლუბერნატორისაგან:

დღეს, დილის 11 საათზე, შრევის ბაზარში მოსავეტბოლის ცხენოსანი მილიციონერებსა და ადგილობრივ ვაჭრებს—სომხებს მოუვიდათ ერთმანეთში ჩხუბი. ამ ჩხუბში შემდეგ აქაურმა ოსმალოებმაც მიიღეს მონაწილეობა. რამდენიმე კაცი მიძიებ დაიჭრა, ზოგიერთი და-

ქნები გაცარცვეს და ერთიმილიციონერი მოჰკლეს. რადგან პოლიციამ ვერა გააწუთ-რა, ამის გამო მოვიხმე აქაური ბატალიონი და ყაზახები, წაუძებ წინ და იარაღის უხმარებელად წესიერება დაეპყაოეთ.

ამ ჩხუბის დროს დაიჭრა 1 მკაცი; ამათში 2 ჩინოვნიკი და 2 მილიციონერი.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ იგივე წრე ქართულის სენის მოყვარეთა, რომელმანც ამას წინათ ასე ჩინებულად წარმოადგინა ჩვენს ქალაქში კომედია „ხათაბლა“, ახლა უფ. შ. სუნდუკიანის მეორე კომედიის— „მოდვე ერთი მსხვერპლის“ წარმოდგენას აპირებს ამ მოკლე ხანში.

პირველმა მასმა მშვიდობიანათ, ჩვეულებრივის მხიარულებით ჩაარა ჩვენს ქალაქში. მშვენიერი ტაროსი დაესწრო და ამის გამო ქალაქის ახლო-მახლო ბაღებში აუარებელი მოქიფე ხალხი იყო...

რადგან ზოგიერთები შიშობენ, რომ წელს ომიანობის მიზეზით ბორჯომში და აბასთუმანს წასვლა საზაფხულოთ არ შეიძლება, ამის გამო აბასთუმანის ჯარის უფროსი აცხადებს ახლა, რომ აბასთუმანი ამ ჯამად ისეთნაირად არის დაცული აქარის მხრით დაყენებულის ჯარისაგან, რომ ერთი კაციც ვერ შემოვა აქედამაო; და არათუ მარტო აბასთუმანში, საზოგადოთ მთელს ახილციხის უბნში არსად არ არის შიშობაო.

ჩვენს სამხედროების მახლობლად სპარსეთში, სახელდობრ რეშტში და თავრიზში, ჯამი გაჩენილა და ამის გამო მმართველობის განკარგულებით სპარსეთის გზა შეუჭრათ.

ჩვენ მივიღეთ თელავიდან შემდეგი წერილი, რომლის დაბეჭდვასაც გვთხოვენ:

ს. ძველობად შენი მდებარეობს თელავიდან ცხრა ვერსტზე; არის შემკობილი მთით, მინდვრით და ვენახებით და აქ მცხოვრებნი ჰხედვენ ნაკლულევენებას მხოლოდ წყალში, რომელიც თუმცა საკმაო არის მრთელი სოფლისათვის, მაგრამ სიშორე მისი სოფლებზე აძლევდა დღევანდლამდის ბევრს დაბრკოლებას ცხოვრებაში.

მოახლოვება ამ წყლისა სოფელში არ იყო საძნელო; მაგრამ თუ ხალხს ერთი მაინც რიგიანი წინამძღოლა არა ჰყავს, ის ვერ შეუდგება საქმეს.

რასაკვირველია, მოთავეთ უნდა იყოს ყოველივე ადგილობრივე მამასახლისი; მაგრამ თუ ისიც ერთი რაღაც დაუდევნელი და უზრუნველი კაცი არის, მაშინ რა უნდა ქმნას სოფელმა? ამ გვარს მდგომარეობაში იყვნენ და არიან აღნიშნულის სოფლის გლეხნი, რომელთაც ჰყავთ მამასახლისათ დროებით ვალდებული გლეხი ი. ხ.

ამ აპრილის ჩვიდმეტს სოფლის ყრილობამ სიტყვიერათ გარდასწყვიტა, რომ ზემოთ ნათქვამი წყალი მოიყვანონ სოფელში და ერთის ხმით სთხოვა მამასახლისს, რათა მიეღო წინამძღოლობა ხალხის ამ საკანზედ მუშაობის დროს. მამასახლისმა ხ—შვილმა ნაცვლად იმისა, რომ თანავერძნო ამ საქმეში, გამოაცხადა სრული უარი (როგორც ამბობენ, ამისთვის, რომ, რადგანაც ამ საქმეში მიიღეს მონაწილეობა ზოგიერთმა კეთილშობილმა პირებმა,

ის ველარას ისარგებლებდა იმათ თვალწინ და იმას კი ჰსურდა, რომ ეხლაც ისე მოეთბო ხელები და გაენარებინა თავისი ჯიბე, როგორც ამას წინათ მოიმოქმედა სასოფლო საქმეებზედ). ამ მიზეზით სოფლის კეთილი განზრახვა უნდა ჩაშლილიყო, თუ არ გამოჩენილიყო ერთი სინილისიანი გლეხი, სახელდობრ როსტომ ბურნაძე, და არ შესდგომოდა ამ საქმეს გულს-მოდგინეთ. ამან მეორე დღესვე დააწყებინა ხალხს მუშაობა და ძალიან წარმატებაშიაც წაიყვანა საქმე. მამასახლისმა ეს თავის თავის დამცირებით მიიღო და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა დაეშალნა როგორმე ეს საქმე. ამისათვის პირველს ყრილობაშივე სახალხოდ გასცა ბრძანება, არავის გაეხედნა მუშაობა წყალზედ; მაგრამ იმის მოთხოვნილებას ყური არავინ მიუვდო; მაშინ მამასახლისმა დაიმოწაფა დროებით ვალდებულნი სოფლის გლეხნი და არ მისცა მათ მუშაობის ნება. ბურნაძემ დანაშთენის ხალხით განაგრძო მუშაობა და მოსთხოვა მამასახლისს საპი წერაქვი, ნასყიდი სასოფლო ფულით და რთდესაც იმან ამაზედაც უარი უთხრა, მაშინ მუშა ხალხი იძულებულ იყო ემოვნათ წერაქვები კერძო პირებში. იმ პირთა, რომელთაც მამასახლისისაგან ჰქონდათ აღკრძალული მუშაობა, როდესაც დაინახეს წყლის მოახლოვება სოფლებზედ თავისის სურვილით გამოცხადდნენ მესამეს დღეს სამუშაოთ, მაგრამ მაწარულ მრისხანის სახით მოსულმა მამასახლისმა განსდევნა ისინი თავ-თავის სახლში და ემუქრებოდა დარბევას. ბურნაძემ მაინც და-მაინც მცირედის ხალხით მოიყვანა სისრულეში ეგოდენ სასარგებლო საქმე და დღეს წყალი მოჩხრიალებს შუა სოფელზედ. აღუქანდრე შიუთავი

თფილისის სამოსამართლო პალატა აცხადებს, რომ ამ 1877 წლის განმავლობაში თფილისის გუბერნიის შემდეგ ალაგებში დანიშნულია მამულების გამიყვნა:

თფილისის გუბერნიის გაიმიყნებთან მამულები შემდეგ სოფლებში: მაქოდში, ლომბალოს, თოქალ-ბარახლისს, შჯარმას, ბომბორს, შვემო-აქტალას (მიცვალეზულ თადეოზ ბურამიშვილის შემეკიდრეებ შორის), არდვას, ნორიოს, პატარძელის, ზემო-წერაქვს და მდ. ხრამის დაყოლებლივ.

სიღნაღის უეზდში: ბურჯანს და ზიარს.

ბორის უეზდში: მტკვრის მარჯვენე მხრით სათარხნომდინ, შემდეგ საციციანო; მტკვრის მარცხენა მხრით გამიყვნა დაიწყება სოფ. ბეკარიდამ და იმ მამულების გამიყვნის შემდეგ, რომელნიც სურამის ქედის დასავლეთით მდებარებენ, კამისი გადავა შუთისის გუბერნიის შორაპანის უეზდში, საცა გამიყვნენ ამ ქედის დასავლეთით მდებარე მამულებსა და ამას გარდა შემდეგ სოფლებს: ბელღეთს, ბუღბელის-ციხეს, ციხის-ძირს, მონასტერს და სხვ. ბორის უეზდის აღმოსავლეთის მხრით გამიყვნა დაიწყება მდ. მსანის დასავლეთით სოფელ ალაიანიდამ, სახელდობრ: მკაში, თეზი, ლამის-ყანა; ამას გარდა გაიმიყვნება მამულები, რომელიც რკინის გზამ დაიჭირა.

თელავის უეზდში: დაიწყება გამიყვნა იმ ალაგებიდამ, საცა მარმან გათავდა, ე. ი. გაიმიყვნება: რუის-პირი, იყალთო, ბაიხო, ბულგული, შაშანი, პისტოური, აღბანი, შვემო-ხოლაშენი, მანთი, აკური,

შაჩნაძიანი, ძოლაური და შაშანი. დუშეთის უეზდში: საბუჩაშო, საშაბურო, მსტანი, შორიო-ლანთ-კარი, პობიანთ-კარი, ჩონთი-ლი, პატამანთ იზვარე, ბალაჩაური წინ-დუშეთი და თვითონ ქ. დუშეთის ადგილები.

თიონეთის უეზდში: გაიმიყვნება ადგილები შრწოს ბარისა იორსა და ანთის ხევა შუა, საცა ხიმშიანთ მამულები იწყება.

თელავიდან აცნობებენ ვაშ. თფილისის შოამბეს, რომ სოფ. შილდიდამ 12 ვერსზე, სალორის. თფის მთაში, ტყის მცველებს აღმოუჩენიათ სპილენძის მადანი. ადგილი, საცა ეს მადანი აღმოჩენილა, როგორც ამბობენ, ხაზინას ეკუთვნისო.

„დროშის“ კორმსკონდენსია

სიღნაღი, 26 აპრილს. 24-ს აპრილს, სოფელს ველის-ციხეში შეერთდნენ თელავისა და სიღნაღის უეზდების ახლად დაპზადებულნი ცხენოსანი ჯარის ხალხნიო. სასიამოვნო სანახა-ვნი იყვნენ; ზოგნი ძველნი ნაძახურნი, რომელთაც წარსულის ოცის წლის მშვიდობიანობით და შინ სხდომით არ დაჰვიწყებოდათ თავიანთი სამხედრო მოძრაობაზედ წესები და ისევ ისე ეწყობოდნენ რაზმებში ერთმანც დღევანდლამდინ სამხედრო სამსახურში ყოფილიყვნენ; და ზოგნი ახალგაზდანი, რომელთაც ვერ-შემამცნევდა კაცი, თუ ესენიც დახელოვნებულნი არყოფილიყვნენ სამხედრო ვარჯიშობაში.

აქ ბევრნი იყვნენ ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ყმაწვილნიც, რომელთ არა თუ დედ-მამა-სახლში ძმა არი დაც აღარა რჩებოდათ; მაგრამ ისეთის მხიარულის გამბედაობით იყვნენ გამოსულნი, როგორათაც მოითხოვდა ჩვენი ქართველების ძველებურათ სიხლთით მამულის დაცვის სიყვარული და ერთგულება.

დილის 11-ს საათზედ, თ. ი. ჯანდიერის სახლისწინ დაწყდა ეს ჯარი რაზმთ. დიდის ცერემონიით გამოიტანეს სახლიდამ ბაირალი ამათი და რა გარდიხდა პარაკლისი ბლალაჩინმა სამსონ პაპაძემ; მიჰმართა მათ ამ გამამხნეველები სიტყვებით:

„მტვენ, შვილნო ჩემნო, უნდა იცოდეთ, რომ ქრისტიანობის დაუძინებელათ მტერთ-მამკმედიანთ იქამდინ შეარყიეს მშვიდობიანობის სურვილით ადვსილი გული ჩვენის ხელმწიფისა, რომ მან ველარ მოითმინა გულგრილიათ ყურისგდება, სარწმუნოებით ჩვენთ ერთ-ძმათ გამოუთქმელი ტანჯვაში-ყოფნა მამპაღიანთაგან და დარწმუნებულმა თავის ერთგულ ქვეშევრდომების მხნეობაზედ, ბრძანა სრულის იმედით, იმ ჩვენთ ძმათ ქრისტიანების განთავისუფლებისათვის, ომის დაწყება. ამისათვის თქვენც გამოგიწვიათ ამავე სამართო ვალმა და იმედოცა მაქვს თქვენ მიჰყვებით ჩვენის წინაპრის ბრძენის სიტყვასა: „მერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვერო ვერცა კლდოვანი...“ — „და სკობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახლოვანი,“ და ამით გააახლებთ, ჩვენთ წინაპართ ქართველთ გათქმულს დედამიწის ზურგზედ დიდებულს სახელსა.“

ამის შემდგომ კეთილშობილთ წინამძღოლმა თ. ხ. ანდრონიკოვმა, (რომლის ერთი მხურვალე გრძნობის ჩაგონებული აზრით იყვნენ გამოსულნი, როგორათაც სიღნაღის,

